ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 51/ბ

16 მარტი 2018 წელი

მცხეთა

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის 3) ქვეპუნქტის საფუძველზე, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში `შემსყიდველი“, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „კარიბჭე 2009“, შემდგომში „მომწოდებელი“, მისი დირექტორის მარიამ ლომაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამერიკის საელჩოდან მოწვეული დელეგაციის სადილით მომსახურება CPV55300000 (წარმომადგენლობითი ხარჯი).

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების მიწოდების ვადაა 2018 წლის 17 მარტი.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება 300.00 (სამასი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 “მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:

4.2 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით.

4.3 „შემსყიდველი˜ კისრულობს ვალდებულებას:

4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული შესრულებული მომსახურების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ `მომწოდებელი˜ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, `შემსყიდველი˜ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში `შემსყიდველს˜ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში `შემსყიდველი˜ უფლებამოსილია `მომწოდებელს˜ არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და შესრულებულ მომსახურების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გივი გიუტაშვილი.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „კარიბჭე 2009“
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის N7	მის: მცხეთა, მამულაშვილის N2
სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკი“
ხაზინის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022	ა/ნ GE27BG0000000877754100
ს/კ 236099789	ს/კ 204575584
ტელ: 251 26 96	
მუნიციპალიტეტის მერი	დირექტორი
გიორგი კაპანაძე	მარიამ ლიმა შვილი

მცხეთა

16.03. 2018 წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის გათვალისწინებულ პირობებს. (შპს „კარიბჭე 2009“ ს/კ 204575584 ხელშეკრულება 51/გ).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი — გიორგი კაპანაძე

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის
პირველი მოადგილე — გივი გიუტაშვილი